პროგრამული პროექტი - „მშვიდობის ლაბორატორია“
(22 ნოემბერი, 2018)

პროგრამის ,,სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება'' ფარგლებში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა მიმდინარე წლის 22 ნოემბერს განახორციელა პროექტი ,,მშვიდობის ლაბორატორია“, რომელიც გაიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში.

ზემოთ ხსენებული პროექტი მოიცავდა:

1. წიგნის ,,საერთო წარსულით საერთო მომავლისკენ“ პრეზენტაციას
2. ფოტოგამოფენას ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში“

ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 45 ხელოვანმა (მწერლები და მხატვრები), რომლებმაც შექმნეს ნამუშევრები წიგნისთვის ,,საერთო წარსულით საერთო მომავლისკენ“. გარდა ხელოვანი ადამიანებისა, ღონისძიებას დაესწრნენ სამთავრობო, არასამთავრობო და აკადემიური წრის წარმომადგენლები. ასევე, გაკეთდა მოხსენებები სამშვიდობო ინიციატივების ფარგლებში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მიმართულებით გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და მიღწევების შესახებ.